№ 103
ხუთშაბათი, 29 მაისი 1897 წ.

**ხაზეთი ღირს:**

| თვ. | მან. კ. | თვ. | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| [illegible] | 8 — | 3 | 3 50 |
| [illegible] | 7 25 | 2 | 2 75 |
| [illegible] | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1897

# ივერია

№ 103
ხუთშაბათი, 29 მაისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გუშინ, 28 მაისს, დილის 9½ საათზედ, დიდისა და ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტფილისის გუბერნიისა დ ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგე, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი **ანდრია სიმონის ძე გამრეკელი**, რასაც განსვენებულის დედა, მეუღლე, შვილები, და ძმა გულითადის მწუხარებით აცნობებენ იმის თანამოსამსახურეთა, ნათესავთა და ნაცნობთ.

პანაშვიდი გარდახდილ იქნება დღეში ორჯელ—ნაშუადღევის პირველსა და საღამოს 7 საათზედ.

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(2—116—1)

კვირას, 1 ივნისს,

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ბ ა ღ შ ი

ტფილისის მეორე გიმნაზიის დამხმარებელ საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად გამართულ იქმნება

## სახალხო სეირნობა

და

ლ ა ტ ა რ ი ა-ა ლ ე გ რ ი

დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იქმნება: მომღერლები, ზურნა, დუდუკი და სხვა გასართობი.

დასაწყისი სეირნობისა ნაშუადღევის 2 საათზედ. ბაღში შესვლის ფასი 20 კ., ლატარიის ბილეთისა 20 კ. ლატარიისათვის ნივთების შემომწირველთ შეუძლიანთ მიჰმართონ საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწეს კნ. ვ. გ. ბარათაშვილისას (რეუტის ქუჩა, საკუთარი სახლი) ანუ გიმნაზიის დირექტორს.

(5—6.—2)

## „მ უ ა მ ა ბ ა ლ ი“

ალებ-მიცემის მაღაზიაში იყიდება ძლიერ იაფად სამარის გუბერნიიდგან მ. ღებული ხელით ნაქსოვი **ჩალას ქუდები და კალათები.**

აქვე იყიდება **საუკეთესო ყინული, ჩაი გისოტცკისა და გოცისა,** გამოწერილი მოსკოვიდგან,—და აგრეთვე ყოველგვარი სანოვაგე სანელი, ხილეული, კონსერვები, ჩაი-შაქარი, არყები და ღვინოები—ადგილობრივი და საზღვარ გარეთისა, პაპიროსი და თამბაქო და სხვა საყოველ-დღეო საჭირო საგნები.

ადრესი: კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ˝ დ კ. ი. მუხრან-ბატონიშვილისა, № 6/1.

### მთავრობის განკარგულებანი

—

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ავადმყოფობისა გამო განჯის გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი თავადი ნაკაშიძე—მუნდირით.

დანიშნულ იქმნენ: აქციზის მე-VII ოლქის უფროსი კონტროლიორი, კოლეჟსკი სეკრეტარი თავ. მიხეილ ნაკაშიძე—იმავე ოლქის ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ. კარაურგანის ტელეგრაფის განყოფილების უფროსი, კოლეჟსკი რეგისტრატორი მელქისედეკ გვინჩაძე—ახალსენაკის საფოსტო განყოფილების უფროსად. სურამის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი კანტორის უფროსის თანაშემწე დავით ლაგიძე—ახლად დაარსებულის სურამის ტელეგრაფის განყოფილების უფროსად.

გადაყვანილ იქმნენ: სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-VI კლასის მოხელენი კოლეჟსკი სეკრეტრები: იოსებ კორინთელი, იოსებ მესხი და კონსტანტინე მაჭარაძე, აგრეთვე ამავე კანტორის ზედამხედველნი კოლეჟსკი რეგისტრატორი გიორგი ტატიშვილი—ხაშურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეებად. თელავის ფოსტა-ტელეგრაფის მე-VI კლასის მოხელე იასონ ხახუტაშვილი—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელედ. ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის. კანტორის მე-VI კლასის მოხელე სიმონ პაიჭაძე—მცხეთის საფოსტო განყოფილების მოხელედ. არეშის მაზრის მე-II ნაწილის ბოქაული, ტიტულიარნი სოვეტნიკი ჩიქოვანი—განჯის მაზრის პირველ ნაწილის ბოქაულად.

დათხოვნილ იქმნა: სამსახურიდგან, თავისისავე სურვილით, ყაზახის მაზრის სამმართველოს კანცელარიის მოხელე, კოლეჟსკი რეგისტრატორი თავადი ფალავანდიშვილი.

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ, 28 მაისს, დაიწყო გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება. თავად-აზნაურობა ბ-ნ გუბერნატორის მეთაურობით იყო სიონის ტაძარში, სადაც მწირველად ბრძანდებოდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმირი. აქ წირვასთან პარაკლისიც იქმნა გარდახდილი და მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ მშვენიერი სიტყვა უთხრა თავად-აზნაურობას. გაახსენა რა წარსული დიდება, მისმა მეუფებამ სთქვა, რომ იმედია, თავად-აზნაურობა ეხლაც ძველებურ ეცდება სინიდისიერი, თავად-აზნაურობის საქმეთა ერთგული და თავ დადებული, შეგნებული წარმომადგენლები ამოირჩიოსო. მიიღო-რა ფიცი თავად-აზნაურობამ ეკკლესიაში, შემდეგ დაბრუნდა „საბრანიის“ სადგომში, სადაც კრება გადადებულ იქმნა დღეს, ხუთშაბათს, დილის 10 საათისათვის.

*** ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზედ განხილულ იქმნა, შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ აღძრული და გუბერნატორისაგან გადაცემული საგანი, ტფილისში სადგომებზედ გარდასახადის შემოღების შესახებ. გამგეობამ საჭიროდ სცნო ასეთის გარდასახადის შემოღება ტფილისში. ხოლო რაც შეეხება იმას, რამდენი უნდა გადაიხადოს სახლის დამქირავებელმა, თუ ვინიცობაა იგი შემოღებულ იქმნა, გამგეობამ საჭიროდ დაინახა იმდენივე დააწესოს ეს გარდასახადი ქალაქის სასარგებლოდ, რამდენიც ხაზინის სასარგებლოდ იქნება დაწესებული და ეს ორივე ერთადვე მოკრეფილ იქმნას. აგრეთვე გამგეობა იმ აზრისაა, რომ ტფილისი მე-II ხარისხის ქალაქებს უნდა მიეწეროსო, სადაც იმ სახლის დამქირავებლებს ადევთ ბაჟი, რომელნიც იხდიან ქირას წელიწადში 215 მან. არა ნაკლებ. გარდა ამისა გამგეობამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ, თუ ვინიცობაა ხსენებული ბაჟი შემოღებულ იქმნა, იმ სახლის დამქირავებელთ, რომელნიც სამის წლის განმავლობაში პირ-ნათლად გადიხდიან ბაჟს, ნება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ ქალაქის ხმოსანთა არჩევანებში, მხოლოდ იმ უფლებათა შემცირებით, რომელიც საქალაქო დებულებაშია მოხსენებული. ეს საგანი განსახილველად საბჭოს წარედგინება.

*** გაწერილ ხარჯის დეპარტამენტმა შეატყობინა ტფილისის სახაზინო პალატას, რომ შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებმა შესაძლებელად დაინახეს ქუთაისის გუბერნიის, ბათუმის და ართვინის ოლქების ზოგიერთ სოფლების, სახელდობრ: ხევა, სტეფანოვკა, ადლიედა ტოპალ—კლი—მეგეურე მცხოვრებლების ადგილ-მამულზედ გაწერილ გარდასახადის შემოუტანელ ფულის მოკრეფა გადადებულ იქმნას სამის წლით, ამ წლის იანვრიდგან დაწყებულიო.

*** კვირას, 1 ივნისს, იმ ამომრჩევლებს, რომელთაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღოს ქალაქის ხმოსანთა შესავსებს არჩევანებში, „ტფილისის სობრანიის“ საზაფხულო სადგომის შესავალშივე უნდა წარუდგინონ ის შესასვლელი ბილეთები, რომელიც ქალაქის გამგეობისაგანა აქვთ მიცემული 18 მაისამდე. ზოგიერთს ამომრჩევლებს, რომელთაც წარსულს არჩევანში მონაწილეობა მიიღეს, დაუკარგავთ ეს ბილეთები. ამათ თურმე მიჰმართეს ქალაქის გამგეობას, რომ ახალი ბილეთები მოგვეცითო. ქალაქის გამგეობამ უარი უთხრა და ამასთან განუმარტა, რომ მაგ თქვენ მიერ დაკარგულ ბილეთების მეორე ცალი უწინდელისავე ნომრით არჩევანის დღეს მოგეცემათ. თუ ვინიცობაა დაკარგული ბილეთები ვერ იპოვნეთო.

*** სოფ. ოძისი. გადამდებ ავადმყოფობით გარდაიცვალა აქ კიდევ ორი: თედო ვარდუაშვილის ბიჭი, 15 წლისა, და მაჩხიძის ვაჟიშვილი, 17 წლისა. ვართ უპატრონოდ მიტოვებულნი, ჩვენთვის არსად ექიმი და არსად ვინმე მშველელი, თუმცა მამასახლისმა ერთი თვეა მოხსენება მიართვა ვისიც ჯერ იყო ამ გადამ-

## ფელეტონი

—

### ნაწყვეტი

—

კიდევ დადგა გაზაფხული,
ტურფად ჰყვავის მთა და ველი,
მზე ოქროს ფრად აზზინვარებთ,
გალობს ვარდთა მონა-მწყელი;
საფლავში წევს ჩემი ვარდი,
ჩემი მზე და საყვარელი,
და ჩემთვის ეს გაზაფხულიც
სამარეა საზარელი.

დ. მაჩხანელი

### ჩეხელი „შავარდენნი“ (Sokol)

(წვრილმან ერთა კულტურულ ცხოვრებიდგან).

ეხლანდელ დროში რომელისამე ხალხის კულტურულ განვითარების საზომად, სკოლების, საავადმყოფოების და თავშესაფარების—საზოგადოების მეთაურობის სხვა-და სხვა სახის ფართო განვითარებასთან ერთად უნდა ჩაითვალოს ის ყურადღებაც, რომელსაც აქცევს რომელიმე ხალხი ფიზიკურს განვითარებას. ცნობილია, ინგლისში როგორს დახმარებას უჩენენ ყრმათა სხვა-და სხვა გვარ ფიზიკურს ვარჯიშს, გერმანიაში როგორ მშვენივრად ვრცელდება ტურნფერეინნი და საფრანგეთში საგიმნასტიკო საზოგადოებანი. ასეთი უაღრეს-მნიშვნელოვანი გიმნასტიკა არა მარტო დასავლეთ ევროპის უმაღლესის კულტურის მქონე სახელმწიფოებში ჰყვავდება. ამ შემთხვევაში პატარა ჩეხიის ერიც არ ჩამორჩება ევროპის სხვა ხალხს და შეუძლიან თავი მოიწონოს გიმნასტიურ საზოგადოებათა ისეთის განვითარებით, რომელსაც სხვები შურის თვალით უნდა უყურებდნენ.

ამ საზოგადოებათა განვითარების ისტორია და ხასიათი გვინდა გავაცნოთ მკითხველებს *).

ჩეხელები 1848 წლამდის რომელსამე ეროვნულ დაწყობილების მიღწევას ფიქრადაც ვერ გაიტარებნენ, რადგანაც მთავრობას უბრალო გიმნასტიკური ვარჯიშიც-კი ეჭვს უბადავდა. ჩეხელებმა მხოლოდ მეტტერნიხის მიერ შემოღებულ წეს-რიგის დამხობის შემდეგ ამოისუნთქეს ცოტად თავისუფლად. ამ დროს ეკუთვნის აღორძინება პრაგაში პირველის გიმნასტიურის საზოგადოებისა, რომლის წევრებადაც თითქმის ჩეხიის ორივე ერის სტუდენტობა ირიცხებოდა, რადგანაც იმ დროს ეროვნული შუღლი ჩეხელებსა და ნემენცებს შორის არ იყო ისე გაძლიერებული. მაგრამ 1848 წლის შემდეგ დამდგარმა მკაცრმა პოლიტიკურმა უკუღმართობამ, ბახიას სამინისტროს დროს, შთანაჩენშივე მოსპო ავსტრიის წვრილმან ერთა კულტურულ დაწყებულებანი. უკუღმართობამ ბახის სამინისტროს დამხობამდის გასტანა, შემდეგ-კი ამ უკუღმართობით შევიწროებულმა ჩეხელის ხალხის ცხოვრებამ ისევ წინანდებურად ჩქეფა დაიწყო, ჩეხიის ინტელიგენციამ ხალხის კულტურულსა და პოლიტიკურს აღორძინების საქმეს მედგრად მოჰკიდა ხელი, იგრძნო რა თავისუფლება. ყველგან არსდებოდა სხვა-და-სხვა გვარი საზოგადოებანი: მგალობელთა, სათეატრო, სამეცნიერო, ყოველგვარი კლუბები და სხვანი... ჩეხელ „შევარდენთა“ დაწყობილებაც ამ ბორკილ ახსნილ საზოგადოების გაცხარებულ მოქმედების ხანს დაიბადა. „შევარდენის“ საზოგადოების განვითარების ისტორიასთან მჭიდრო კავშირი აქვს ორს სახელს: მიროსლავ ტირშისას და ანდრია ფიგნერისას.

მიროსლავ ტირში უმთავრესი მეთაური და სულის ჩამდგმელია „შევარდენისა“. იმისის თაოსნობით, 1861 წლის დამლევს ჩეხიის მთავარს წარუდგინეს „პრაგის გიმნასტიკური საზოგადოების“ წესდება, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ დამტკიცდა. ახალი საზოგადოება ქონებრივად ფეხზედ პირველმა თავმჯდომარემ—ანდრია ვიგნერმა დააყენა. მალე ამ საზოგადოებამ სხვა სახელ-წოდება მიიღო, სახელდობრ „შევარდენი“, წევრები-კი „შევარდენად“ იწოდებოდნენ. შევარდენთათვის მშვენიერი ფორმა იყო გამოგონილი, რომელიც წითელის პერანგის, ნათელის-ნაცრის ფერ ქულაჯის, ასეთისავე შალვარის, მა-

*) სასკოლო გიმნასტიკას ჩვენ გვერდს არ ავუქცევთ, რადგანაც იგი ჩეხიაში, როგორც სხვა ავსტრიის პროვინციებში, ძველთაგნივ არსებობს,

დებ ავადმყოფობის შესახებ.

ორი კვირაა გამუდმებით სწვიმს; ბალახის თიბვა შიშით ვერ დაგვიწყია, ვენახებს რგებს, თუმცა წამლობას ხელს უშლის; ჯეჯილებს ბალახი მოერია.

⁂ რაჭა. წელს ჩვენს ყანა-მინდვრებს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს, ვენახებს-კი ცოტა ხშირის ავდრის გამო მილდიუ მოედვა. როგორც არის ჩვენი გლეხებიც დარწმუნდნენ ძლივს, რომ წამლობის მეტი ღონე არ არის და მიჰყვეს ხელი ვენახის წამლობას, ცოტა შაბიამნის სიძვირე-კი უშლით ხელს საწყლებს, რომელიც აქ მოტანილი ფუთი შაბიამანი არა ნაკლებ ექვსის მანეთისა ფასობს. ჩვენი გლეხკაცობა ძლიერ დაცემულია მუშაობის გაუმჯობესობის მხრივ, მამა-პაპურს გზაზედ სდგანან და რაც უნდა ურჩიოს კაცმა, არ დაიჯერებენ; ამ შემთხვევაში დიდის მადლობის ღირსია თავადი ქაიხოსრო ოტიას ძე ყიფიანი, რომელმაც ქვემო-რაჭის გლეხ-კაცობა ძლივს მიაჩვია უცხო ქვეყნის სიმინდის თესვას. ეს სიმინდი უწინდელს ჩვენს წვრილს სიმინდზედ ერთი სამად სხვილია და ვერც გვალვა ჰვნებს რასმე.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. წინ-სოფელი,** (ბერევისის საზოგადოება, შორაპნის მაზრა). დღეს, 26 მაისს, ნაშუადღევის მესამე საათის 20 წუთზედ, დაიწყო აღმოსავლეთის ქართან ერთად ძლიერი წვიმა; ხუთის წუთის შემდეგ მოჰყვა ისეთი მსხვილი სეტყვა, რომ ვისაც სახლის სახურავად ყავარი ჰქონდა, ლუკმა-ლუკმა დახეთქა-დაამტვრია, კრამიტები ლუკმა-ლუკმა აქცია, ხეხილების ტოტები ჩამოლეწა, ვენახებს, რომლებსაც ფილოქსერამ თვისი დაღი საგრძნობლად დაასჩინა, ახალი რქა-ღერწი სრულიად გაატიალა, დათავლიანებული ყანები ფესოებამდე დანაყა, სიმინდებით დათესილი ნახნავები წალეკა; გვერდო ადგილებზედ (აქ უმეტესად გვერდო ადგილებია) ხნულები მთლად წაიღო. ხალხი, რადგან თითქმის ყველანი თავიანთ სადგომებში იყვნენ, გგონებ არავინ დაზარალებულა, გარეთ ვინც იყო, იმათ შესახებ ჯერ არაფერი ამბავია; მრავალი წვრილ-ფეხი და ზოგი სხვილ-ფეხიც შინაური საქონელი და ფრინველები დახოცა. ზარალი ამ პატარა სოფლისა (52 კომლია) დასხლოვებით, 6,000 მანეთზედ მეტი იქნება; ამავე სეტყვა-ნიაღვრით ზარალი მოუვიდა სოფ. ჭილოვანს, ნავარძეთს, რგანს, ღვიმევს და ზოგს სხვებსაც, მაგრამ რამდენად დაზარალდნენ, ჯერ არა ვიცით-რა. მხოლოდ სოფ. წინ სოფელში კი მეშვიდე საათზედ, სამი გოჯის სიმაღლეზე მუუდრო, ვაკე და ნიაღვარ მოუხვედრელი ადგილები სეტყვით დაფარული.

### წერილი სუფსიდგან.

წინანდელი და ეხლანდელი სუფსა.— ჩვენი უკან ჩამორჩენა.—„აზამბურელთა“ ბატონობა და ჩვენი ბეჩაობა.— ენერგია გვაკლია!—სუფსის ხიდი.—წიფლის მაგიერი ანწლი.—ნავთის მაძებარნი.—„მიყუჩდა საქმე!“

ის ადგილი, სადაც ახლა სუფსის სადგურია გაშენებული, ოცი ოცდა-ათის წლის წინ ხელ-უხლებელს, „წკიპურტ-წაუკარებელს“ ბუნებას წარმოადგენდა; „ჩიტი კურკანტელს ვერ გაიტანსო“, რომ იტყვიან, სწორედ ისეთის ტყით იყო დაფარული აქაური ჭაობები და არე-მარის გორაკები; ულრანის ტყისა და ჭაობების „ლაქაშა-ჭილოფაის“ ბატონ პატრონი ველური ღორი და გარეული ნადირი იყო. აქა-იქ შუა-გულ ტყეში შეხვდებოდით „საჯოგეს“; ეს არის საზამთრო კარავი მწყემსი-მეგრელისა, რომელიც სიღარიბის გამო თავისს სამშობლო მხარეს მოშორებია და აქ შინაური საქონლის მოშენებას ეწევა, ზაფხულობით აჭარა-გურიის მთაში მირეკავს ნახირს „კაი საბალახოსთვის“, შემოდგომაზედ-კი ბარში ბრუნდება, ტყეში ბინადრდება, სადაც საქონლის გასაზამთრებლად უხვად მოიპოვება სურო, წყავი, კვირტი, ეკალი, ბარდი და სხვა. მარტო მწყემსის ძაღლის ყეფა და მეძროხის „აში ოოო!..“ არღვევდა ბუნების სამარისებურს სიჩუმეს და ისიც მხოლოდ ზამთრობით.

დღეს დრო და ჟამმა სურათი სულ სხვა გვარად შესცვალა. რუს-ოსმალოს ომის შემდეგ იწყეს ბათუმის რკინის გზის შტოს მიმართულების კვლევა-ძებნა; გაჩაღდა მუშაობა, კიდევ ცოტა ხანი და ორთქლ-მავალის კივილ-ყიჟინმა არე-მარეს დიდი ხნის ძილი დაუფრთხო; დაარსდა სუფსის სადგური. „მოშორდით ძველებურს კერას, მომყევით სამუშაოდ, გაებით ცხოვრებისთვის ბრძოლაში—მოვიდა ახალი ცხოვრებაო!“ ჩაჰკივლა მკვიდრთ ყურებში ყორნის-ფერა ქვაბმა. მიესია ხალხი ფუსფუსით აშენდა სადგური, სავაჭრო სახლები, გაჩაღდა აღებ-მიცემობა, იწყო დენა ახალმა ცხოვრებამ... დღევანდელი სუფსა სულ სხვაა. მცხოვრებთა რიცხვი მატულობს; სუფსას აქვს თავისი ეკკლესია, ჰყავს საკუთარი მღვდელი, აქვს სამრევლო სკოლა, მაგრამ ყველა ეს დიდს არაფერს შეიცავს, რადგანაც წინ სვლის, ზრდის, აღორძინების ნიშან-წყალი სუფსას ჯერ არ ეტყობა; ის წინა წლებივით ერთს დონეზედ დგას გონება-ქონების მხრივ. ასეთს მდიდარს ბუნებაზედ ცხოვრება უნდა „სდუღდეს და გადმოდუღდეს“, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ასე არ არის. ჩვენი აღებ-მიცემობის დედა-ბოძის სიმინდის ფასი სხვა ქვეყნების კონკურენციამ დასცა ძირს და მკვიდრთა ქონებრივს კეთილ-დღეობას დღითი დღე ძირს უთხრის. როცა გლეხს აღარა აბადია-რა, ვაჭარიც ცუდს დღეში ვარდება; გლეხის უკანასკნელი გროში მისს დახლში მიდის, მაგრამ მადა-გაღვიძებულს ვაჭარს ისიც ვეღარას ჰშველის. დღითი-დღე გესმის წუწუნი საერთო ქესატობისა, უფულობისა, მაგრამ შველა არსაიდანა სჩანს. ჩამოვრჩით სხვებს! ბევრი მუშაობა გვინდა „წელის ასაწევად“!..

ჩვენის ბეჩაობით და უვიცობით თავისს დროზედ კარგად უსარგებლნია აქაურ ეხლანდელს პატარა მეფეებს, ჩვენი ხალხის „კეთილ მყოფელე ს“, ორიოდე „აზამბურელებს“. სანამ სიმინდის ფასს სული ედგა, ეს აღებ-მიცემობის უმთავრესი დარგი იმათ ხელში ტრიალებდა, ჩვენ-კი სადათას ძილით ვიყავით გაგუდულიეხლა იმათს ფეხთ-მოკეცით ცხოვრებას რა დაუშლის ხელს? სავაჭრო სახლებს გარდა, „გამსესხებელი კასსა“ არ ეყოფათ? (არ იფიქროთ-კი, რომ ამ ოპერაციას ნამდვილს გამსესხებელ-შემნახველ კასსასთან რამე საერთო ჰქონდეს! „კასსა სხვაა, ის სულ სხვაა!“). ეს ჩვენთვის კარგი გაკვეთილია, ჭკუის სასწავლებელია, თუმცა ღვთის წინაშე ასე გვიან ჭკუის სწავლა ძვირად გვიჯდება. რა გაეწყობა!.. ცხოვრება ბრძოლაა!.. ბევრიც რომ ვიწუწუნოთ, თავს ვერას ვუშველით, სანამ ჩვენც გამჭრიახის გონებით და ცოდნით შეიარაღებულნი არ გამოვალთ აღებ-მიცემობის სარბიელზედ და ამით ჩვენს წურბელებს არ გავუმკლავდებით.

სუფსის გონებრივი ზრდა-წარმატება კუს ნაბიჯითაც ვერ მიდის წინ; ამ მხრით „ჩვენი ავლა-დიდება კოდოს აეკიდება“. დაგვრჩა მარტო ერთი ეკკლესიასთან კერძო თაოსნობით დაარსებული სულთ მობრძავი სამრევლო სკოლა... მეტი არც სამკითხველო—წიგნთ-საცავი, არც სადამოები, არც სახალხო კითხვები!.. ყველა ამათი მიუცილებელი საჭიროება სუფსისთვის დღეს ცხადია, მარჯვე გულ-შემატკივარი რომ გვყავდეს. საქმის სიყვარული, შრომა, ენერგია—ეს გვაკლია, ბატონებო, თორემ, თუ გული გულობს, „ციხი-ძირის“ აღებაც შესაძლოა!“ ჩვენმა მეზობელმა სადგურებმა წინ გაგვასწრეს, ჩვენ ჯერ ყურებს არ ვიბერტყავთ. მას შემდეგ კარგა ხანია, რაც „ივერიამ“ გვაცნობა პატივცემულნი თ~დნი გ—ლნი სუფსაში წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებას აპირებენო. ყოველ კეთილ საქმეს ბევრი დრო, შრომა და მოლოდინი უნდა. ჩვენც ჯერ იმედს არ ვკარგავთ!.. ღმერთმა ჰქმნას, ჩვენც ერთი ნაბიჯი მაინც წავგვედგას წინ! სუფსაში სამკითხველო-წიგნთ-საცავის დაარსება მთელის დასავლეთ გურიისათვის მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს, რადგანაც აქაურის წიგნთ-საცავის მოქმედების ფარგალში გურიის კარგა დიდი ნაწილი მოიქცევა. მიეცით სუფსელებს სულიერი საზრდო, სამკითხველო, გონიერად მოწყობილი სადამოები, სახალხო კითხვები და არა მგონია, რომ სადის გონების ქონე ხალხმა ყველა ამას ამჯობინოს არღანი და „ღვინის სკლადი“ სადაც ის დღეს კარგა ბლომად სტოვებს ოფლითა და ჭაპან-წყვეტით მონაგარს გროშებს. ვისაც ამ მხრივ ჩვენთვის გული შესტკივა და შრომას არ დაიზარებს, ის იქნება ჩვენთვის „სიბნელის ჯაჭვის გამწყვეტი გმირთა-გმირი“, პიონერის დაფნაც მას ეკუთვნება!

წარსულის წლის სექტემბერში დამთავრდა მდ. სუფსაზედ ხიდის კეთება: რკინის გზის ხიდზედ გაკეთდა იატაკი, ხიდის ბოლოში სადარაჯო სახლი და იწყო გაღმა-გამოღმა ურმით და ცხენით თავისუფალი მიმოსვლა. ეს მოვლენა ყურადღების ღირსია, რადგანაც ახლო-მახლო სოფლების დაქვეითებულს ეკონომიურს ცხოვრებაში თვალ-საჩინო მნიშვნელობა აქვს. მდინარის მარჯვენა ნაპირზედ იმყოფება რკინის გზის სადგური, საქონლის საწყობი „პლატფორმა“ და სავაჭრო სახლები. დღემდე მარცხენა ნაპირის მცხოვრებნი ყოველ გვარ ნაწარმოებს: სიმინდს, შეშას, ბოჭკის ხეს და სხვას ან ზურგით, ან ნავით ეზიდებოდნენ მარჯვენა ნაპი-

---

ლილ-ყელიანი წუღების და შავის შევარდენის ფრთებ-გაშლილის ქუდისაგან შესდგებოდა.

მოკლე ხანში „შევარდენი“ დაბა-სოფლებშიაც გავრცელდა და მთელის ჩეხთა ერის სატრფიალო შეიქმნა. ჩეხის ყველა საუკეთესო მამულიშვილი „შევარდენის“ წევრად ირიცხებოდა და თან ესრედ წოდებული „შევარდენულ აზრებს“ ავრცელებდა.

რაში მდგომარეობს ეს „შევარდენული აზრი?“ ამის პასუხს ჩვენ მაშინ მივიღებთ, როდესაც ახლოს გავიცნობთ შევარდენობის მეთაურს —მიროსლავ ტირშს. თუ ტირშს შევარდენობა და ეროვნულ-საზოგადოებრივი საგანი შევარდენობისა როგორ ესმოდა, ამას უკეთ მისის თხზულების „შენიშვნებისა“ და ბევრ სხვ[ა]ბთან მრავალ მიწერილ წერილებიდგანა სჩანს.

ტირში დაიბადა 1832 წელს. მშობლები პატარაობაშივე დაეხოცნენ. ტირში პრაგის გიმნაზიაში ერთ უკეთესს მოსწავლედ ითვლებოდა. ეს პირველი ჩეხელი იყო, რომელმაც სწავლის დამთავრების ეგზამენი ჩეხურს ენაზე გარდაიხადა, იმ დროს ასეთი ეგზამენები ნემეცურს ენაზედ იყო. უნივერსიტეტში თავდაპირველად ტირში სასჯულო საქმეთა ფაკულტეტზედ ისმენდა ლექციებს, მერე-კი ფილოსოფიურ ფაკულტეტზედ გადავიდა. მეტის-მეტ ერთგულებით ფილოსოფიასა და ესტეტიკასა სწავლობდა. უნივერსიტეტიდგან გამოსვლის შემდეგ ტირში დროებით ყმაწვილების აღმზრდელად იყო. ეს საქმე მალე მიატოვა და ლიტერატურულ ასპარეზზედ გამოვიდა; ჩეხის ჟურნალ-გაზეთებში ესტეტიურს და ხელოვნურ კრიტიკის შესახებს წერილებს ჰბეჭდავდა. 1862 წელში, როგორც ზევითა ვსთქვით, იმის თაოსნობით „შევარდენი“ დაარსდა, რომლისათვისაც სიცოცხლის ბოლომდის ზრუნვა არ მოუკლია. ამავ დროს ესტეტიკის შესწავლას თავს არ ანებებდა. არტისტიულის აზრით იმოგზაურა იტალიასა, გერმანიაში და სხვაგან. ბოლოს, 1880 წ., ჩეხიას სატეხნიკო აკადემიაში ხელოვნების ისტორიის კათედრა მიიღო; შემდეგ წელს პრაგის უნივერსიტეტში იმავე საგნის დოცენტობა ჩააბარეს. ტირში 1882 წ. გადაიცვალა შვეიცარიაში მოგზაურობის დროს.

აი უმთავრესი აზრები, რომლებითაც ტირში ხელმძღვანელობდა, შევარდენთა საზოგადოების დაარსების დროს.

ცოცხალ არსებათა ისტორია საზოგადოდ, კერძოდ კაცობრიობისა, არსებობისათვის დაუსრულებელს ბრძოლას წარმოადგენს; ამ ბრძოლაში იღუპება ყველა ის, რომელსაც სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ატყვია და საერთო მოძრაობა-სვლას წინ ელობება. ამ კანონს ვერავინ ასცდება. ამ კანონს ექვემდებარებოდნენ ის ერნი, რომელნიც ქვეყნის პირიდგან აღიგავნენ. დაემხნენ ისინი, როდესაც აღარ ეტყობოდათ წინსვლა და ახალ დროების მოძრაობას წინააღმდეგობა გაუწიეს. ისინი განქრნენ, როდესაც ყველა ამას შინაგანი გარყვნილებაც ზედ დაემატა. ეს ამტკიცებს, რომ თვით ბრწყინვალე წარსულიც მომავალს უზრუნველს ვერა ჰყოფს, მხოლოდ ჯანსაღსა და მოქმედ აწმყოს შეუძლიან იხსნას ხალხი დამხობისაგან. ტირშის აზრით, უმთავრესს საქმეს ხალხის ყოველმხრივი განვითარება შეადგენს. ის ჩეხელს საზოგადოებას აფრთხილებდა ისტორიულ ცხოვრების დიდების გატაცებისაგან და ამცნებდა, რომ ჩეხელებმა ყოველი ღონე უნდა იღონონ, რათა კულტურის ასპარეზზედ სხვა ერთ მარჯვეთ გაუწიონ ცილობა. ის ამბობდა,—რაც იყო, ის აღარ არისო. წარსულს ვერ დავიბრუნებთ, მუშაობა-კი აწმყოში შეიძლება, იმ გარემოებათა შორის, როგორნიც არსებობენ. ეს გარემოებანი არ მოგვწონს, მაგრამ მათი უკეთ შეცვლა მხოლოდ დაუღალავის შრომით შეიძლება. ტირში განუწყვეტელ პროგრესს ჰქადაგებდა, როდესაც ამბობდა, ხალხი, რომელსაც წინსვლა ჰსურს, არ უნდა დაკმაყოფილდეს იმითი, რასაც მიაღწია; თუ უნდა სხვებს არ ჩამორჩეს, მეტის შეძენას უნდა ცდილობდეს. დაუსრულებელი მოძრაობა, რომელიც უკმაყოფილების შედეგია—აი ტირშის დევიზი.

უნდა გვახსოვდეს, რომ ტირში იმ დროს გამოვიდა ასპარეზზედ, როდესაც ჩეხის ხალხს არსებობისათვის ცხარე ბრძოლა ჰქონდა. იმათ ყოველი ახალი წინ-გადადგმული ნაბიჯი სასკოლო საქმესა, ლიტერატურასა, ხელოვნებაში და სხ. ძვირად უჯდებოდათ. საჭირო იყო, ერთის მხრივ, ნემეცებისა და ავსტრიის მთავრობისაგან დაეცვათ თავიანთი უფლებანი, მეორეს მხრით,—ჩეხელ განდგომილებთან ებრძოლათ, სუსტნი და გაუბედავნი გაემხნევებინათ, დაბალს ხალხში ეროვნული თვით-ცნობიერება გაევრცელებინათ და სხ. ამ მძიმე ბრძოლაში გმირულისებურ მტკიცე ხასიათი, თავ-განწირვა, ბევრი მსხვერპლი იყო საჭირო. ტირში ყველა ჩეხელისაგან ამ შინაგან ძალასა თხოულობდა. იმას ჰსურდა, ყველა ჩეხელს ისეთი თავ-განწირვა შესძლებოდა, რომელიც თავისს კერძო ინტერესებს დაავიწყებდა, როდესაც საქმე მთელის ხალხის ბედნიერებასა და პროგრესს შეეხებოდა. დროებით გატაცება—აპილპილებისა ტირშს არა სწამდა-რა. იმის მოქმედების იდეალად წვრილი, ყოველ-დღიური, მაგრამ მუდმივი და ყოველ-მხრივი შრომა იყო. ამ შრომაში მონაწილეობა ყველას უნდა მიეღო. შრომის საგანი —სიკეთეა ყველასი. ეს შრომა ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო, რადგანაც, სანამ უმრავლესი ნაწილი დაბალის წოდებისა პროგრესის დედააზრებს არ შეისისხლ ხორცებს, იმ დრომდის ხალხის წინ-სვლა შეუძლებელია. სწამდა რა სიმართე კლასიკურ თქმულებისა: mens sana in corpore sano (საღი გონება საღს ტანშიაო), ყოველგვარს ფიზიკურს ვარჯიშს ტირში დიდ მნიშვნელობას აძლევდა. იმასა სწამდა, რომ ღონიერს, ჯან-საღს, მაგარს ადამიანს სარგებლობა შეუძლიან მოიტანოს იმისთანა ყოველ-დღიურ, წვრილ, მუდმივს შრომაში, რაიცა ხალხის საკეთილოდ არის საჭირო. ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლთა რაზმში წეს-რიგის დაცვა უსაჭიროესად მიაჩნდა, ამას-კი, იმისის რწმენით, „შევარდენი“ დაამყარებდა, მხოლოდ სა-

რისაკენ, რაც ძლიერ უხერხული იყო და წარმოებას აფერხებდა. ახლა ყველა ეს თავიდგან აგვცილდა. ამ საქმის მოთავე, ბ-ნი ივანოვი, დიდის მადლობის ღირსია, მაგრამ ზოგი ლხინიც მავნებელი ყოფილა. მიმოსვლის გაადვილების გამო უწყალოდ იჩეხება ჩვენი ტყეები, ეს უძვირფასესი და უმშვენიერესი სიმდიდრე ყოველის ქვეყნისა. გუშინ მშვენიერის წიფლით, ცაცხვით, წაბლითა და მუხით შემოსილს ადგილებს დღეს ტიტვლებს ვხედავთ; უღრანის ტყის მაგიერ გაკოტრებულ მიწაზედ იზრდება ანწლი, ბარდ ეკალი და სხვა უსარგებლო ბალახ-ბულახი, ან გამოუსადეგარი „თხმელა“ (მურყანი). რასაკვირველია, ჩვენი უვიცობა და დაუზოგველობა დამნაშავეა და არა ხიდი. ტყის დაზოგვით ხმარება, ნაკვეთებით ჭრა დღეს სხვა ქვეყნებისთვის საცნობანო ჭეშმარიტებაა; ჩვენ ჯერ ეს ვერ შეგვიგნია. ბევრს ქვეყანას სწვევია მწარე ბედი ტყის უთავბოლო ჩეხის გამო; ჩვენც მგონია იქით მივისწრაფვით. მივაქცევთ, ვისიც ჯერ არს, ყურადღებას ამ არა სასურველს მოვლენას.

როგორც მოგეხსენებათ, წარსულს შემოდგომაზედ სუფსის ახლო მუშაობა დაიწყო ბელგიელ კაპიტალისტთა ნავთის მაძებართა ამხანაგობამ. დადგეს თავ. გ—ლების მამულში მიწის სათხრელი ორთქლის ქვაბიანი მათხაბი. გაჩაღდა მუშაობა. ნავთის მაძებართ დიდი იმედი ჰქონდათ, დღეს თუ ხვალ ნავთის შადრევანსაც ველირსებითო. ჩვენც „ხელის მოთბობის“ იმედი მოგვეცა, მაგრამ ვაი უბედურებას! ოთხმოცის საჟენის სიმაღლეს ჩასწვდნენ და მარტის დამდეგს საორთქლე ქვაბის ჩვეულებრივი კივილი და „ჩიხჩიხი“ შესწყდა. „მიყუჩდა მუშაობა“-ო, გაიძახიან მკვიდრნი. ამბობენ, ნავთის მაძებართ მხოლოდ დროებით შესწყვიტეს მუშაობაო და ისევ ჩქარა დაუბრუნდებიან ამ საქმესაო. ღმერთმა ინებოს! ჩვენც ეს გვინდა!..

ვ. სეფისპირელი

# რუსეთი

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ დღეებში მისწერა გუბერნატორებს, სასურველია ქალაქისა და საერობო არჩევანების დროს იხმაროთ ინჟინერის ტოტვენის მიერ გამოგონილი ყუთი, რომელიც სცადეს კიდეც პეტერბურგისა და მოსკოვის ქალაქის საბჭოს არჩევანების დროს და საუკეთესო აღმოჩნდაო.

— ფინანსთა დამინისტრომ შეასწორა ახალი პროექტი ხარჯის აკრებისა და ამ თვის დამლევს დაუგზავნის ყველა მინისტრებს განსახილველად.

— ენკენისთვის დამდეგს დაარსდება რუსეთში კომისია მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ა. ს. ერმოლოვის თავმჯდომარეობით. კომისიამ უნდა განიხილოს საქმე დედათა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დაარსებისა.

— სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტი ამ ჟამად სინჯავს ახალს წესდებას შესახებ სააქციონერო საზოგადოებათა. წესდების განხილვა დასრულდება ამ წლის ნოემბერში და მომავალ წლის გაზაფხულზედ წარედგინება სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად.

―◆◆―

## სასამართლოს მატიანე

(თავ. ნ. ი. ამატუნისა და ამირალოვის საქმე).

გუშინ, 28 მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის დეპარტამენტში დასრულდა თავ. ნ. ი. ამატუნის და ამირალოვის საქმის გარჩევა. ეს საქმე დაიწყო 26 მაისს და მთელი ორი დღე მოუნდა პალატა ამის გარჩევას. დამნაშავეთ ჰბრალდებათ ტფილისის საკრედიტო საზოგადოების ფულის გაფლანგვა. კერძოდ თავ. ამატუნს ის ბრალი ედება, რომ ხელი შეუწყვია ხსენებულის ბანკის დირექტორად ნამყოფ ნ. გარსოევისათვის კუპონები მიეთვისებინა და ხელმეორედ ამ კუპონების ღირებული ფასი 20 ათასი მანეთი გარდაეხადა; ამასვე ჰბრალდება, რომ საზოგადოების წლიურ ანგარიშებს ყალბად არდგენდა და მრავალი სხვა.

ტფილისის ოლქის სასამართლომ, როდესაც ეს საქმე განიხილა, ამატუნი და ამირალოვი სცნო დამნაშავედ და მიუსაჯა, პირველს—ყოველისავე უფლებისა და ღირსების აყრა და გადასახლება ტობოლსკის გუბერნიაში საცხოვრებლად, ხოლო მეორეს—4 თვით ციხეში დაპატიმრება.

პალატაში ამ საქმის გარჩევის დროს თავმჯდომარეობდა ა. პ. ფრანცევი, წევრებად იყვნენ ტ. ტ. გლუშანოვსკი და ბ-ნი ოპტოვცევი. ბრალსა სდებდა ბრალმდებელის ამხანაგი კ. ლ. ლემგერმანი. თავად ამატუნს იცავდა ნაფიცი ვექილი გ. ს. ტერ-სტეფანოვი, ხოლო ამირალოვს —პ. ა. ოპოჩინინი.

ამ რამდენისამე ხნის წინად, ვიდრე საქმე გაირჩეოდა პალატაში, თ. ამატუნიმ წარუდგინა სამოსამართლო პალატას ექიმის მოწმობა, რომ ავად ვარ და ჩემთვის აუცილებლად საჭიროა საზღვარ-გარეთ სამკურნალოდ წასვლა და სთხოვა პალატას ამ მიზეზის გამო გადასდე ჩემის საქმის გარჩევაო. პალატამ ნება დართო თავ. ამატუნს საზღვარ-გარეთ სამკურნალოდ წასვლისა, ხოლო თხოვნა საქმის გარჩევის გადადების შესახებ არ შეიწყნარა.

პალატაში ამატუნის საქმის გამო დაბარებული იყო 24 მოწმე, რომელთაგანაც 17 გამოცხადდა, და ორიც ექსპერტი. 26 მაისს პალატა მოუნდა საქმის მოხსენებას და მოწმეთაგან ჩვენების ჩამორთმევას, ხოლო 27 მაისს ბრალმდებელმა და ვექილებმა თავ-თავისი სიტყვები წარმოსთქვეს. გუშინ პალატამ განაჩენი წაიკითხა. აი განაჩენიც: დამნაშავეს თავად ამატუნს, 52 წ. ჩამოერთვას ყოველივე ღირსება და უფლება და გადასახლებულ იქმნას საცხოვრებლად ტომსკის გუბერნიაში. ამასთან აღეკრძალოს ამატუნს 10 თვისა და 20 დღის განმავლობაში იმ ადგილიდგან გასვლა სადმე, სადაც დასახლებული იქმნება, ხოლო ამის შემდეგ ექვსის წლის განმავლობაში სხვა გუბერნიასა და ოლქებში გადასახლება. 12 წლის შემდეგ-კი ნება მიეცეს იცხოვროს იქ, სადაც მოისურვებს, გარდა სატახტო ქალაქებისა და გუბერნიებისა, ხოლო ჩამორთმეული უფლებანი აღარ დაუბრუნდებაო.

დამნაშავეს ამირალოვს ჩამოერთვას ყოველივე განსაკუთრებული უფლებანი და უპირატესობანი და მიცემულ იქმნას ხასიათის გამასწორებელ ტუსაღთა განყოფილებაში 8 თვით.

―※―

## შესანიშნავი ძველი ხელნაწერი „ჟამ-გულანი.“

ჩვენ გვქონდა შემთხვევა, გადაგვეთვალიერებინა ერთი ფრიად შესანიშნავი ისტორიის და არხეოლოგიის მხრივ ხელნაწერი, სახელად „ჟამ-გულანი“. იგი არის წარმოდგენილი ყანჩაეთის კაბენის ღვთის მშობლის, დუშეთის მაზრის, ეკკლესიიდგან. ხელ-ნაწერი*) არის დაწერილი ნუსხა-ხუცურის ხელით, სქელს გასანთლულს ქაღალდზე და უნდა ეკუთვნოდეს მე 17 საუკუნეს. ერთს ადგილას აქვს მას შემდეგი წარწერა: „ღმერთო შემიწყალე ცოდვილი მთავარ ეპისკოპოზი, რომლის ბრძანებით აღიწერა ჟამ-გულანი ესე. პირველად ვიყავ ურბნელი, მერე მანგლელი და მერმე მთავარ-ეპისკოპოზი ქართლის ქორონიკონს ტნბ-1674. მე უღირსმან მთავარ ეპისკოპოზმან ევდემოზ შევსწირე საშვალესა ჩემსა კაბენის მონასტერსა გერამანიის ღვთის-მშობლისასა და შერისხდი შენ, მეო ღვთისაო მხოლოდ შობილო და წმ. ღვთის მშობელო ვინც გამოსწიროს და გამოასხნას ტაძრისაგან ამის“.

ხელ-ნაწერი განიყოფება რამდენსამე ნაწილად, არის შემკობილი მრავალის, დიად რომ მშვენიერის, ფერადად დახატულის მხატვრობებით ძველის და ახალის აღთქმის ისტორიიდგან და წმიდანების ცხოვრებიდგან. უფრო საყურადღებონი არიან მხატვრობით შექმნა ღვთისაგან ცისა და ქვეყნისა. წარმოდგენილია უხილავი და განუმზადებელი ცა და ქვეყანა და იქვე თევზთა შორის დედა-კაცი სირინოზის სახით (თევზ ქალად) და კაცი არა იმ სახით, რომელიც შემდეგ მისცა მას ღმერთმან. შესანიშნავია კიდევ მხატრობა წმ. ელიასი, წმიდა გიორგის ცხენზედ, ურწმუნო თომასი, ჭამა უფლისაგან თევზისა და თაფლისა, გამოცხადება იესო ქრისტესი ზღვასა ზედა ტიბერიისა, პეტრეს ჩავარდნა ზღვაში და სხვა-და-სხვა. სულ ასამდე მხატრობაა, ხოლო უფრო კი მეტისმეტს ჩვენის ისტორიისათვის განძს წარმოადგენს შიგ შეტანილი კინკლოსი-ქორონიკონი. ეს უკანასკნელი „ცხრილოვანია“, ე. ი. 531 ცხრილი არშიებზე წარწერილი. სამწუხაროდ, ხელნაწერს რამდენიმე ფურცელი ამოჭრილი აქვს. ქორონიკონი შეიცავს სულ 12 გვერდს და იწყება კონსტანტინეპოლის და სრულებით საბერძნეთის დაჭერიდგან ურუმთაგან 1444 წ. იძლევა მოკლესა, მაგრამ ფრიად საყურადღებო ქრონოლოგიურს ცნობებს ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეების შესახებ. ზოგგან ამოწმებს და ხსნის აქამდის დაკვამულს და არეულს ცნობებს ჩვენის ისტორიისას, რომელსაც დიდი ნაკლულოვანება აქვს. ამ მხრივ ქორონიკოს თავში აქვს წარწერა: „ეს ქორონიკონი დაიწერა სახითა იერუსალიმისათა სულ უცთომელი,. სულ ბოლოში: ოდეს ეს ქორონიკონი დასრულდის თავიდგანვე იწყე სად ქან-წილი იჯდეს უფალნო ჩემნო.“ მრავალგან წასრულთა ღმერთო აცხოვნე ურბნელ მთავარ ეპისკოპოზი ევდემოზ. ერთს ადგილას აწერია:

*) ეს ხელნაწერი აქვს ამ ჟამად ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის წინამძღვარს მ. მარკოზ ტყემალაძეს.

---

ჰირო იყო, რაც შეიძლებოდა ბევრი წევრი შეეძინათ, მოემხროთ. ესმოდა ტირშს, რომ ჩეხელებს შეთოფ-იარაღების იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ყოველს იმედს იგი ჩეხელ საზოგადოების შინაგან გადახალისება-გადაქმნასა და ნემეცებთან კულტურულ-პოლიტიკურ შეჯიბრებაზედ ამყარებდა. „შევარდენს“ აღმზრდელი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კულტურულ-საზოგადოებრივ ასპარეზზედ მებრძოლთა მოსამზადებლად. შევარდენობა ტირშს რიცხვ მრავალ ძმობადა ჰქონდა წარმოდგენილი, სამშობლო ქვეყნის ერთსულობა-სიყვარულითა და დემოკრატიულის აზრებით გამსჭვალული. ამ ძმობის წევრნი აღჭურვილნი უნდა იყვნენ არა მარტო ფიზიკურის ძალითა და სიმარდით, რომელიც მუდმივის გიმნასტიურის ვარჯიშით მოიპოვება, არამედ ზნეობრივის თვისებითაც.

ამისთანა საზოგადოებანი შემდეგ დაბა-სოფლადაც არსებობდა. ერთის 1862 წ. განმავლობაში ჩეხიასა და მორავიაში „შევარდენის“ სახელით რვა გიმნასტიკური საზოგადოება დაარსდა. ამ 1862 წლის ბოლოს მარტო პრაგაში „შავარდენს“ 1000 წევრი ჰყავდა.

რამდენადაც ტირში ამ საქმის თეორიის მიმდევარი იყო, იმდენად ფიგნერი ამავ ნიადაგზედ პრაქტიკული მოღვაწე. მდიდარის ვაჭრის შვილი ფიგნერი (დაიბადა 1822 წ.) განათლებული კაცი იყო, ბევრი ნამგზავრი გერმანიასა, ინგლისსა, საფრანგეთსა, ბელგიასა და ჰოლლანდიაში. ტირშის გაცნობამდის მრეწველობას მისდევდა, არ ერეოდა საზოგადო ცხოვრებაში, ხან-და-ხან სახალხო განათლებასა და საკაცთ მოყვარე აზრით თუ შესწირავდა „უცნობის სახელით“ ბლომა-ბლომა ფულს. ტირშმა თავისკენ მოიმხრო ფიგნერი, რომლის ქონებით აშენდა „შევარდენთა სახლი“ უზარ-მაზარის სავარჯიშო დარბაზით. ფიგნერი ამ საზოგადოების აზრის მშვენიერი გამავრცელებელი აღმოჩნდა, „შევარდენს“ დაბა-სოფლებში დიდ-ძალი წევრები შესძინა. 1865 წელს შევარდენნი საკუთარის ჟურნალის გამოცემას შეუდგნენ. იმავ წელში ფიგნერის სიკვდილმა „შევარდენთა“ საზოგადოების ზრდა ცოტას ხნობით შეაჩერა, რადგანაც მოაკლდათ უმთავრესი ხელმძღვანელი. 1866 წლ. შემდეგ-კი, როდესაც ჩეხელ ხალხს თავისუფალი შინაგანი განვითარება უზრუნველ ექმნა, შევარდენნიც აღფრთოვანდნენ. მას აქეთ ყველა საუკეთესო მამულიშვილი მოვალედა ჰრაცხს თავისს თავს „შევარდენის“ წევრებად ჩაეწეროს, რათა განახორციელოს ტირშისაგან დახატული იდეალი.

ყოველს საქმეს, რომელსაც-კი ხალხის სიკეთე აქვს სახეში, სასკოლო საქმეა იგი, თუ ეროვნულ თეატრის სასარგებლოდ შემოწირულების მოკრეფას შეეხება, ანუ რომელიმე ეროვნული დღესასწაული—შევარდენნი მზად არიან ხელი გაუმართონ, შემწეობა აღმოუჩინონ.

ჩვენ აქ არ შევეხებით იმ გავლენას, რომელიც ჩეხელ მოზარდ თაობის ფიზიკურს აღზრდაზედა აქვს შევარდენების გიმნასტიკურს ვარჯიშს. გიმნასტიკის უაღრესს მნიშვნელობას ეხლა აღარავინა ჰყოფს უარს. საყურადღებოა მისი ზნეობრივი გავლენა.

ჩეხიაში ახლად მისული კაცი მაშინადვე შეამცნევს, რომ წოდებათა შორის არ არის დიდი გარჩევა. კულტურულის განვითარების მაღალი ხარისხი ჩეხელ დაბალ წოდებას, ე. ი. ხელოსანს, მუშას ანუ გლეხ-კაცს, ნებას აძლევს შეიმუშავოს ისეთის საკუთარის ღირსების გრძნობა, რომლის წყალობით ყველა განვითარებულ ადამიანს თავისს ტოლად და სწორად უყურებს. ბევრს ჩვენებურს განაცვიფრებს ის ძალ დაუტანებლობა, რომელსაც ჩეხელი გლეხ კაცი იჩენს განათლებულის წოდების წარმომადგენელის ხელის ჩამორთმევის დროს. რომელსამე სასტუმროში შეხვალთ, თქვენს თვალს წარმოუდგება მაგიდა, რომელსაც შემოსხდომიან პროფესორები, ხელოსნები, სტუდენტები, მეწვრილმანენი და სხ. ამათ გაცხარებული ბაასი აქვთ რომელსამე საპოლიტიკო, საზოგადოებრივ და სალიტერატურო საგნის შესახებ, ან საერთოდ მღერიან.

„შევარდენი“ სხვა და-სხვა წოდებათა დაახლოვებას ძლიერ ჰშველის — „შევარდენის“ წევრად ყოფნა ყველა ჩეხელს შეუძლიან. აქ შეხვდებით უფროსს ხელქვეითთან ერთად, პროფესორს სტუდენტთან, მექარხნეს მუშასთან, ოსტატს შეგირდთან და სხვა-და-სხვა ერთმანეთის მოწინაამდეგე დასის წარმომადგენლებს. აქ ისეც მოხდება ხოლმე, რომ დახელოვნებული ხელქვეითი თავისის უფროსის ხელ მძღვანელი ხდება. ყველა წევრნი ერთმანეთს „შენ“ და „ძმებს“ უწოდებენ. აქ სრულებით ისპობა „ხარისხ-ტიტულების“ ტრფიალება.

ეხლა 505 შევარდენთა საზოგადოებაა. ჩეხიაში 329, მორავიაში—85, სილეზიაში–5, ვენაში—5, შტირიაში—1, გერმანიაში—6, საფრანგეთში—1 და ამერიკაში—73. შევარდენთა საზოგადოების წევრთა საერთო რიცხვი 30,000 მეტი იქნება.

ამ საქმეში სხვებმაც წაჰბაძეს. 1863-წ. სლოვინების ლუბლენში (კრაინაში) დაარსდა „Juzni Sokol“, ოთხის წლის შემდეგ აღორძინდა პოლონელთა „Sokol“ ლვოვში, რომელიც შემდეგ მთელს გალიციაში გავრცელდა, გადავიდა სილეზიასა და ბუკოვინაში და ბოლოს პრუსელების პოლონეთში და ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების პოლონელთა ახალშენებში. 1874 წ. დააარსეს „Husatski Sokol“ ხორვატებმა ზაგრებში და „Русскій Соколъ“ გალიციის რუსინებმა ლვოვში 1893 წელს. ჩეხელ, პოლშელ და სლოვინელ შევარდენებს ერთნაირი ტანისამოსი აცვიათ, ხორვატელი შევარდენნი კი ფართო ქუდის კიდურებით განირჩევიან. რუსეთის ერთადერთი შევარდენთა საზოგადოება 1883 წელს აქეთ არსებობს მოსკოვში, რომელსაც სულ 185 წევრი ჰყავს.

დროგამოშვებით საერთაშორისო „სლეტები“ (კრებანი) იმართება, რომლებზედაც ჩეხიისა, პოლონეთისა ხორვატისა და სხვ. შევარდენთა წარმომადგენელნი იღებენ მონაწილეობას. ამას დიდი შემაკავშირებელი მნიშვნელობა აქვს—თითოეული ეროვნული შევარდენთა „სლეტაში“ სხვა ეროვნებათა შევარდენთა გამოგზავნილნი ესწრობიან. იე-

ე. მ—შვილი

―※―

რსება,

„ქრისტე ადიდე გლონის თვ. მე(თავად-ის მე)ქსნის ერისთავთა ერისთავთის სახლის მე ურბნელ მთავარ ეფისკოფოზი ეკ დემოზ კ-ს (ქათოლიკოზი).“ აღნიშნული ქორონიკონი უკვე გადმოწერილი გვაქვს და ვეცდებით მალე დავბეჭდოთ, როგორც საყურადღებო მეტად საისტორიო და საარქეოლოგიო მასალა.

გარდა ამისა წიგნში არის მოთავსებული ზეგრნაირი დარიგებანი შესახებ მარღვის და საზოგადოდ ხელის გახსნისა; წურბლების და კოტოშის მოკიდებისა. აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა გვარად საჭიროა ეწამლოს კაცს სხვა-და-სხვა ავადმყოფობის დროს: კაცს ყელი, სტომაქი, ნაწლევები სტკიოდეს; მორიელმა უკბინოს, შარდით შეკრული იყოს და სხვა-და-სხვა.

წიგნში არის ვრცლად აღწერილი: „თუ რა სახე არს ანუ რისა შიგა არს მჯდომარე მზე“. სახლსა ალისათა და ცეცხლითა, სწერია აქ, და სახლი იგი ურემთა ზედა დგას ცეცხლისათა და აქვა ვითარცა კერძი დამოკიდებულ არს ხელთა ზედა ურემთასა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდე და სხვ.; არიან შვიდნი სვეტნი ტიოსანი, ვითარცა იტყვის სოლომონ იშენა თავისა თავისისა სახლი: არიან შვიდნი ცანი და სხ. და-სხვ. ჩამოთვლილია საკვიმატო დღენი; იანვარს 2, 14; თებერვალსა 3, 6; მარტს: 4, 20; აპრილს: 2, 20; მაისს: 6, 20; ივნისს: 3, 20; ივლისს: 6, 20; აგვისტოს: 6, 15; სეკტემბერს: 8, 15; ოკტომბერს: 6, 15; ნოემბერს 2, 14; დეკემბერს 2, 14.

საზოგადოდ-კი წიგნი ეკლესიაში სახმარად არის დაწერილი. წარმოადგენს კრებულს სხვა-და-სხვა საღვთის-მსახურო საკითხავ-საგალობელთა: ჟამნიდგან, ლოცვანიდგან, სადღესასწაულოდგან, კურთხევანიდგან, დავითნიდგან, სახარება-სამოციქულოდგან, საწინასწარმეტყველოდგან. მასში არიან აგრეთვე მოთავსებულნი საგალობელნი უოკველთა წმიდათანი წესსა ზედა ტიბიკონისათა.

ბოლოს ხელნაწერში არის მოთავსებული სურათი თვითონ ეკდემოზ ეპის კოპოზისა, შემამკობელის ამ წიგნისა, რომელსაც აქვს დართული შემდეგი ლექსი ღუთის მშობლისადმი.

შენ ხარ სუნნელთა საუნჯე კვიპაროზ ზურმუხტიანი
მუშაკად მრავალთ ყვავილთა ვართ შროშან ფინიკიანი
ალაბასტრ შტაზსი კასია ოქრო მურ გუნდრუკიანი
და შენზედა აღშენებულან წმიდანი ეკკლესიანი.
მხსნელო უხრწნელო შენა ხარ სადიდებელი მღვთისანი
სრულიად მუდმისად გმსახურებს თორმეტნი გუნდნი ცისანი
როდეს დასრულდებიან გალობა ღვთისმშობლისანი
და ცოდვით მოქენეს მომფინე მადლი შენისა ძისანი.
ვაჲ თუ გეწიოს, ჰი, სულო, ალი სიცხისა მთებარე
შენ გამიქარვე, ქალწულო, იგი უშრეტად მგზებარე.

უფრო ვრცელ ცნობას შესახებ ამ ხელნაწერისა ჩვენ დავბეჭდავთ ამ მოკლე ხანში.

ა. ნ.

## ნაკვესი

საფრანგეთის პრეზიდენტად ნამყოფი გრევი ძალიან გულ-ახდილი კაცი იყო და ავსა და კარგს არა ჰფარავდა. ერთხელ იგი სამხატვრო გამოფენასა ჰსინჯავდა და ერთის ნახატის შესახებ წამოიძახა: „ეს რა საძაგელიაო!“ ამ სიტყვას სამარებრივი დუმილი მოჰყვა და მის გარს მყოფთაგან კრინტი არავინ დასძრა. პრეზიდენტი მიხვდა, რომ უხერხულად წამომცდა ეს სიტყვაო, და საერო განათლების მინისტრსა ჰკითხა:

— ვისია ეს ნახატი?

— აი, ამ ბატონისა...

გრევიმ ხელი გაუწოდა მხატვარს და ღიმილითა სთქვა:

— ჩვენში ასე იციან, როდესაც ყიდვა უნდა რისამე, გაჰრობას იმითი იწყებენ, რომ პირველში აძაგებენ ხოლმე საქონელსაო.

ამ სიტყვების შემდეგ, რასაკვირველია, მხატვარი გულ-ნატკენი აღარ დარჩა.

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთი მეცნიერი, გვარად გარნერი განგებ წავიდა აფრიკაში, რომ დაწვრილებით გამოიკვლიოს იქაურ მაიმუნების გონიერება, ზნე-ჩვეულება და ხასიათი. ეს მეცნიერი სწერს, რომ აფრიკელს მაიმუნებში ყველაზე გონიერია იმ ჯიშის მაიმუნი, რომელსაც „კონსულის“ ჯიშს ეძახიან. ამ ჯიშის ერთს მაიმუნს მშვენივრად უსწავლია ველოსიპედით სიარული. შეჯდება ხოლმე ველოსიპედზედ და დიდის სიამოვნებით დასრიალებს, მანამ მოჰბეზრდება. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მაიმუნმა ისე კარგად იცის ველოსიპედით სიარული, რომ ჯერ არავის დასჯახებია და არც გადმოვარდნილა ველოსიპედიდგან. ეს მაიმუნი თურმე სიგარებსა სწევს და ჭამის დროს დანაჩანგალსა ჰხმარობს. ამბობენ, რომ კითხვასაც სწავლობსო და სამი პირველი ასო ანბანისა ისე კარგად ახსოვს, რომ არც ერთხელ არ შეეშლება ხოლმე, როცა ეტყვიან ესა და ეს ასო გვიჩვენეო.

* * *

პარიჟის მსოფლიო გამოფენა 1900 წელი დაიწყობა 15 აპრილს და გათავდება 5 ნოემბერს. ექსპონატებს მუქთად დაეთმობათ გამოფენაზედ ადგილი, წყალი, გაზი და ორთქლის ძალა. გამოფენაზედ მიიღებენ მხოლოდ ისეთ საგნებს, რომლებიც 1889 წელს შემდეგ იქმნება გაკეთებული. გამოფენაზედ მონაწილეობის მიღების სურვილი უნდა განაცხადოს კაცმა 1897 წლის დამლევამდე. გამოფენაზედ 18 განყოფილება იქმნება: 1) ერის აღზრდა და განათლება; 2) ხელოვნება; 3) სამეცნიერო და სხვა იარაღი; 4) მანქანები; 5) ელექტრონი; 6) საინჟენერო მუშაობა და გზები; 7) მეურნეობა; 8) ბაღოსნობა და მებოსტნობა; 9) ტყის გაშენება, ნადირობა და თევზის ჭერა; 10) საჭმელ-სასმელი; 11) სამთო საქმე და მეტალურგია; 12) საზოგადო და კერძო სახლების მართვა და მოშენება; 13) ტანთ-საცმელი; 14) საქიმიო საგნები; 15) ქარხნისა და სახელოსნოს ნაწარმოები; 16) საპოლიტიკო ეკონომია და ჰიგიენა; 17) ახალშენების საქმე; 18) მამხედრო და საზღვაოსნო განყოფილება.

* * *

ავსტრიაში, ბელიც-ბალის მიდამოებში თებერვლიდგან სულ ერთთავად სწვიმს. გლეხ-კაცობაში ხმა გავრცელდა, რომ ავდრისა და ქარის მიზეზი ტელეფონის მავთულებიაო და საცა-კი ახერხებენ, სწყვეტავენ მავთულებს.

* * *

აფრიკაში უპოვნიათ ერთი წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია მაცხოვრის ქადაგებანი. ამბობენ, ეს წიგნი სახარებაზედ ადრე არის დაწერილიო. წიგნს სახელად ეწოდება Logia Kuriaka. წიგნი დაწერილია ებრაელთა ენაზედ და ამბობენ, სახარება შემდეგ არის შედგენილი ამ წიგნის მიხედვითაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-94 №-ში მოთავსებულია ახალი ამბავი ხაშურიდამ, რომელშიაც კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ვითომ რვა მაისს ჩხუბი (ჭიდაობა) ყოფილიყოს გამართული იმერლებსა და ქართლელებს შორის. ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია, აქ არასდროს არა ყოფილა ბრძოლა-ჭიდილი იმერლებსა და ქართლელებს შორის და ის აზრი არავისა ჰქონია, რომ ერთი იმერელი ყოფილიყოს მოჭიდავე და მეორე ქართლელი. იმერლები და ქართლელნი აქ არეულნი და შეთვისებულნი არიან. 8 მაისს არეულად ჭიდაობდნენ ქართლელნიც და იმერელნიც. სირცხვილია კორესპონდენტისათვის, რომ კორესპონდენციას სიცრუისა, განკერძოებისა, შურისა და ჯიბრის ელ-ფერი მისცეს ორის ერთის მოდგმისა და ერთის მამულის შვილების ხალხთა შორის.

ვ. ე—ლი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 მაისი

**პეტერბურგი.** 27 მაისს გემი „როსსია“ ინგლისში წავიდა საიუბილეო დღესასწაულებში მონაწილეობის მისაღებად. ამავე გემით წავიდა ინგლისში დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე.

26 მაისს ვარშავის გზით წაბრძანდა საზღვარ-გარედ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე უავგუსტოესის მეუღლით, რომელიც ინგლისში მიემგზავრება საიუბილეო დღესასწაულებზედ დასასწრებლად.

რკინის გზათა დეპარტამენტში, დირექტორის მაკსიმოვის თავმჯდომარეობით დაიწყო კრება რკინის გადატან-გადმოტანის ტარიფის განსახილველად. კრებამ ამ საგნის განსახილველად კომისია აირჩია. მეორე კრება დანიშნულია ოთხშაბათს, 28 მაისს.

**სოფია.** სერბიასა და ბოლგარიაში წყალ დიდობაა. ორთავე სახელმწიფო ძლიერ დაზარალდა.

**ლონდონი.** კონსტანტინეპოლიდგან სწერენ გაზეთ „Standard“-ს, რომ ბერლინში ოსმალეთის ელჩად ნამყოფს ზია-ფაშასა და ათინაში ელჩადვე ნამყოფს ასიმ-ბეის ბრძანება მიუვიდათ გარეშე საქმეთა მინისტრს დაეხმარნენ ზავის შესახებ მოლაპარაკებაში.

**კანეა.** გუბერნატორის განცხადება უარ-ჰყოფს პარლამენტის ცნობებს. გუბერნატორმა, ადმირალების თანხმობით, გარდასწყვიტა სამართალში მისცეს დამნაშავენი.

**ლონდონი.** ჯედიდგან ამბავი მოვიდა, რომ იქ რამდენიმე კაცი გამხდარა ავად ისეთის ავადმყოფობით, რომელიც შავს ჭირს წააგავს.

**გონოლულუ.** გავაის მთავრობამ უარი განაცხადა, იაპონიას არ დავაკმაყოფილებ, თუმცა ამას იაპონიის მთავრობა ითხოვს გავაის მთავრობისაგან იმის გამო, რომ ნაპირზედ გადმოსვლის ნება არ მისცეს იაპონიიდგან გადმოსახლებულ 400 კაცს.

**ბელგრადი.** რკინის გზის მიმოსვლა მრავალ ადგილას დაიწყო; ფოსტის მატარებელი თავის წესითა და რიგით დადის.

პეტერბურგის ბირჟა, 27 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 207¼ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 100⅜ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | 99⅝ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | 99⅝ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 285 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 246½ | — | „ — |

# „ივერია“

გამოვა 1897 წელს

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მ. | კ. | მ. | კ. |
| 12 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ — 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ — 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ — 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ — 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ — 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ — 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „Иверія“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 ბ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.


# განცხადებანი

## ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ დამატებითი არჩევანები ქალაქის ხმოსანთა დანიშნულია კვირას, 1 ივნისს 1897 წ., ტფილისის საბრანიის საზაფხულო შენობაში, მიხეილის ქუჩაზე, თაიროვის ბაღში. კენჭს უყრიან ყველა იმათ, ვინც 18 მაისამდე განაცხადეს სურვილი, და არჩეულ არ იქმნენ, აგრეთვე იმათ, ვინც 1 ივნისამდე განაცხადებს სურვილს.

კრება დაიწყობა დილის 8 საათზედ.

(3—6.—2)

ახლად გამოვიდა და ისყიდება

## ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის ძმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.

ატენტ-ბოძებული თვით მოქმედი მანქანა „სიფონია“ ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ უფრო კარგად ასხურებს წამალს, ვიდრე სხვა რომელისამე სისტემის მანქანა. ხმარების დროს შეკეთება სულ არა სჭირდება. ამითი დიდად იზოგება დრო და მასალა



ისყიდება: ივანე კულიჯანოვის მაღაზიაში ქ. თელავს.

ე. ფ. აუფერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღს, შაჰვერდოვების ქარვასლაში.

ე. ფ. აუფერმანის საწყობში, ტფილის, მიხეილის ქუჩაზედ № 117.

(20—6.—20)


Дозволено цензурою, Тифлисъ 28 го Мая 1897 г

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.